

საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი (2018 წლის ივლისი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა 2018 წლის ივლისის თვეში.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №173/04

2018 წლის 27 ივლისს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №173/04-თ დამტკიცდა კომერციულ ბანკში დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების წესი. კომერციულ ბანკში დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მიერ კომერციულ ბანკში დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების წესებს. მისი მიზანია კომერციული ბანკისა და საბანკო სექტორის სტაბილური და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა და კომერციული ბანკის მეანაზრეთა ან სხვა კრედიტორთა ინტერესების დაცვა, რაც შესაბამისობაშია ეროვნული ბანკის მანდატთან და ამოცანებთან.

ბრძანება ამოქმედდა 2018 წლის 27 ივლისს, გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

2018 წლის 20 ივლისს საქართველოს პარლამენტის დადგენილება N 3161-რს-თ საქართველო შეუერთდა კიოტოს 1973 წლის 18 მაისის საერთაშორისო კონვენციას „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“. აღნიშნული კონვენცია ადგენს ყოვლისმომცველი საბაჟო პროცედურების სტანდარტებს, მათ შორის საქონლის გაფორმების, სასაქონლო დეკლარაციის წარდგენის, რეგისტრაციის, შემოწმების, გადასახადების უკან დაბრუნების

ზოგად წესებს. იგი აღიარებულია ყველაზე ავტორიტეტულ დოკუმენტად საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებაში. კონვენციასთან შეერთებულია 112 ქვეყანა. დოკუმენტის მიხედვით, მასთან შეერთებულ ქვეყნებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სამართლებრივად სავალდებულო სტანდარტების შემუშავება-განახლების პროცესში.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №154/04

2018 წლის 9 ივლისს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N154/04 ბრძანებით დამტკიცდა ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი კომერციული ბანკებისთვის, რომლის მიზანია საბანკო სექტორში ეთიკისა და საბანკო პროფესიის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დამკვიდრება, რაც ხელს შეუწყობს საბანკო სექტორისა და პროფესიის მიმართ საზოგადოების, მათ შორის, ინვესტორთა ნდობის ამაღლებასა და საბანკო სექტორის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას. კოდექსის მიზნები შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მანდატთან და ამოცანებთან. საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს, კომერციული ბანკის აქციონერებს, ადმინისტრატორებსა და დასაქმებული პირებს დაევალით ხელმძღვანელობდნენ წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული ფუნდამენტური პრინციპებითა და სტანდარტებით.

ბრძანება ამოქმედდა 2018 წლის 9 ივლისს, გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №145/04

2018 წლის 5 ივლისს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N 145/04 ბრძანებით დამტკიცდა საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესი. ამ ბრძანების ამოქმედებიდან 2 თვის შემდეგ ძალადაკარგულად გამოცხადდება „საბროკერო კომპანიის ლიცენზირების, კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 9 მარტის №34/01 ბრძანება. ამ ბრძანების ამოქმედებამდე, საქართველოს ეროვნულ ბანკში საბროკერო საქმიანობის ლიცენზიის მიღების მიზნით შემოსული მიმართვები განიხილება „საბროკერო კომპანიის ლიცენზირების, კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 9 მარტის №34/01 ბრძანების შესაბამისად.

ბრძანება ამოქმედდა 2018 წლის 5 ივლისს, გამოქვეყნებისთანავე.